

საქართველო რესპუბლიკა

ფასი 2 მან. ხუთშაბათი, 22 იანვარი 1920 წ.

ღრმა მწუხარებაში მყოფი ქვეყნი აღექვანდრა...
კატრე ალექსანდრეს-კე მგებროვის
გორის სახალხო გვარდის საოლქო შტაბის წევრის და მდ ვნის (ქიმიკოსის) უდროოდ გარდაცვალების გამო 5 იანვარს ქ. გორში.

სახელმწიფო თეატრი აქტორი ხ. ი. ველახიშვილის ხელმძღვანელობით.
აგასლოში და ეთერი
პარასკევს, იანვრის 23 ს გლახის ბენეფიცი „მინიონი“, შაბათს, იანვრის 24 ს ოპერა მუჟიკისთვის. „ფრა დიავოლო“. კვირას, იანვრის 25 ს დღილით ვიშნისკაიას ბენეფიცი „გენ ზელი და გრემლი“. საღამოს „აიდა“.

ტფ. საგზაო გინათა დისტანცია
აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნული პაროცული შეჯერება იჯარის მისცემდ. გარნიზონის ბინებიდან უსუფთაობების და ნაგვის განდვის შესახებ. მსურველს უნდა წერილობითი თხოვნა პაროცების აღნიშნული არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟინერის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე.

ქუთაისის საცდელი შინდორის
გამგე ამით აცხადებს, რომ ამა წლის იანვრის 30 ს, პარასკევს, დილის 10 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ხარის და ცხენის ნაკელი. ქუთაისის მარხის, სოფელ კულაში, საცდელ შინდორის ეზოში საჯარო ვაჭრობა დაიწყება 5.000 მანეთიდან (ხუთი ათას მანეთიდან). ნაკელის ნახვა შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე. კულაში დაცემულია სადგურ სამტრედიასზე 4 ვერსით.
3-1 96 ქუთაისის საცდელი შინდორის გამგე გ. ჯაფარიძე

მომარაგების საინისტრო
ამით აცხადებს საყოველთაო საყოფადღებო, რომ თანახმაა 15 იანვრის 1920 წ. მთავრობის დეკრეტებისა, ყველა წინასწარი ნებართვანა საქონლის გატანისა, გაცემული საქონლის განცეცდულ სხვა და სხვა დაწესებულებებიდან იმ პირობით, რომ სათანადო თანხაზედ უნდა ყოფილიყო შენატანილი საქონელი, უნდა იქნას წარმოდგენილი საინისტროში 30 ამა იანვრის დღის.
ნებართვანი, რომელნიც არ იქნებიან წარმოდგენილი დანიშნულ დრომდის, კარგავენ ძალას.
3-1 91 მმარაგების მინისტრი ერადე.

გ რ კ ა ნ ე ბ ა
სამხედრო მინისტრისა ჯარების მიმართ
15 იანვარი, 1920 წ., № 8.
წარსულ წელში სამხედრო მინისტრის ჯარების მიმართ ბრძანებით № 204 სამხედრო საინისტროს დაქვემდებარებულ პირთა და დაწესებულებათა სავალდებულოთ ჰქონდათ დაწესებული, რომ სანხედრო უწყების და კერძო პირთა შორის აღძრული ყველა სასაძარტლო პროცესები გამოუთავალდა გადაცემულად სამხედრო საინისტროს იურისკონსულტს; აგრეთვე მასვე უნდა გადასცემიყო მოღმე დასკვნისათვის კითხვები, რომლებიც გამოიწვევებოდა დაკვეთა და ჩაბარებათა შესახებ კერძო პირებთან დადებულ ხელშეკრულებებიდან და პირობებიდან, ანუ ხელშეკრულებათა პროექტები და სავალდებულო ვაჭრობის მიწერ მოწერა, რომელნიც შეეხება სამხედრო უწყების და ხაზის იტერესებს და რომელთა სწორ გადაწყვეტისათვისაც საპირობა იურიდიული ცოდნა. სანხედრო მინისტრამდე მისულ ცნობების მიხედვით კი სიანს, რომ შემოადინებულ ბრძანების წინააღმდეგ მოგერთი თანამდებობის პირნი, სამხედრო დაწესებულებანი აღძრულ სასამართლო პროცესებს, იურისკონსულტისათვის გადაცემის მიგვირად, ხშირად უგზავნიან სასამართლო ადვოკატს ოფიციალურ ქვალადებს თავის სახელით, რომლებიც არამც თუ არ შეეფერება მდებრულ ნინუშებს და ფორმებს, პირობით, შინაოსით საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარია; ზემტეს შემთხვევაში კიდევ სასამართლოში იგზავნიან საჩივრებზედ უნის მიცემისათვის ერთგულების კანცელარის სრულიად გამოუცდელნი საქმის წარმოქმნი, რომელთა განმარტება-ახსნით საქ-

მეგზში შეიტანება გამოუწორებელი პროცესი სიაღური შეცდომები და ნაკლები. ამას გარდა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამხედრო ნაწილის უფროსს აღძრული სამოქალაქო საქმეები სანხედრო უწყებისა გადაუცია ნათიცი ვიქლები ათვის განსაზღვრულ სასყიდლით, ცხადია, რესპუბლიკის თანხიდან. რაც შეეხება სამხედრო უწყებაში აღძრულ სხვა და სხვა გვარ მიწერ-მოწერას, აგრეთვე სახელმწიფო დაკვეთათა და ჩაბარებათა ხელშეკრულებების პროექტებს და სხ. ქვალადებს, რომლებსაც უსათუოდ უნდა გ უყვოდეს იურისკონსულტის დასკვნა, ასეთები ძლიერ იგვიათად ახწვეს მისთან; ალბათ ყოველი ეს კეთდება ძველ კანცელიარულ წესებით, რაიც აღარ შეესაბამება იმ წესრიგს, რომელიც შემოღებულია რესპუბლიკაში.
შემომავალითა გამო ვბრძანებ:
1) ყველა სამოქალაქო საქმეები, რომლებიც კი აღძრება სანხედრო უწყების, კერძო პირთა და მთავრობის დაწესებულებათა შორის, დაწერებით არა უგვიანეს სამის დღისა უნდა გადაეცეს ხოლმე სანხედრო საინისტროს იურისკონსულტს და მის მოთხოვნით დაუყარებლივ უნდა ემკნოს საქმის შესახებ ყველა ცნობები, საბუთები და არავითარ შემთხვევაში მიწერ მოწერა სასამართლოებთან და სამოქალაქო უწყების თანამდებობის პირებთან და მით უმეტეს არ დაევალოს აფიცრებს, სანხედრო უწყების მოხელეთ და ნათიცი ან კერძო ვიქლებს.
2) ამავე იურისკონსულტს უნდა გაეგზავნოს ხოლმე ყოველივე ისეთი მიწერ მოწერა, რომელთა გადაწყვეტა ათვის საპირობა გამოყენება მომქმედ კანონებისა, პარლამენტის დეკრეტების და რესპუბლიკის მთავრობის და დამფუძნებელ კრების განკარგულებაში.
3) უნდა წარედგინოს ხოლმე სამხედრო საინისტროს იურისკონსულტს სახელმწიფო და-

კვეთა და ჩაბარებათა კერძო პირთა ქონების შესაძენათ და დასაქირავებლად—აგრეთვე სახელმწიფო ქონების კერძო პირებზე გაყდვის და სახარად მიცემის ხელშეკრულებების პროექტები და სხვა ამ გვარი ვალდებულებანი საბოლოოდ დასამუშავებლად.
4) სისხლის სამართლის საქმეებდებარო საქმეები აღძრული სამხედრო უწყების პირთა შესახებ ქურდობაზე, გაფლანგვაზე და მითვი სებზე სამსახურით მიტომილ სახელმწიფო თანებისა და ქონებისა, აგრეთვე სამსახურებრივი თაღლითობაზე და სხვა დანაშაულებებზე, დისციპლინარულების გარდა, უნდა გადაეცეს ხოლმე სამხედრო საინისტროს იურისკონსულტს დანაშაულების ხარისხის განსაზღვრავად, რათა მიღებულ წესით ხაზინისთვის მიყენებულ ზარალთა შესახებ სასამართლოში წყენებულ იქნას სამოქალაქო საზღვი.
5) უნდა ეგზავნებოდეს ხოლმე სამხედრო საინისტროს იურისკონსულტთან დასკვნის გასაკეთებლად საკითხები სახელმწიფო ნაკეცის (НАЧЕТ) და ასაკრებათა მოხინის შესაძლებლობაზე და მათი მიღებისა ხაზის სარჯზე, აგრეთვე საკითხების შესახებ, თუ რამდენად კანონიერი და სფუტელიანია სამხედრო უწყების და ხაზინისადმი კერძო პირთა საჩივრები ისეთ ზარალთა ანაზღაურების, რომელიც მიყენეს სამხედრო ერთეულებმა ან ნ. წულემა და აგრეთვე რუკეთის ხაზინაზე სამივე დელი მოწმობის გაცემის შესახებ.
6) ამა ბრძანების შესრულებლობისათვის დამაზავენი მიცენულნი იქნებიან პასუხის გემაში.
სამხედრო მინისტრი ლ. ა. თქიფანიძე

განკარგულეგანი
მთავრობის საქმეთა სამართველოსი.
14 იანვარი, 1920 წ., № 3.
1. ელენე გიორგის ასული ივანიშვილისა და ინიშნოს დროებით მთავრობის საქმეთა მართველობის რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის 14 იანვარიდან.
2. ამავე მმართველობის კანცელარიის მთხელე აღექვანდრა გრიგოლის ასული ქორ დანია აღნიშნულ თანამდებობიდან გადააოცხულ იქმნას საქმეთა მმართველობის მანკანაზე გადამწერად 1918 წ. ნოემბრის პარველიდან.
მთავრობის საქმეთა მმართველი
ქ. ჯაფარიძე.

შინგან საქმეთა მინისტრისა.
28 დეკემბერი, 1919 წ., № 131.
განთავის უფლებულია: გორის მარხის კომისარი ივანე ქორცვიძე თავის თანამდებობის მოველეობათა აღსრულებისაგან მისი გორის სახარო ერობის გამგობის წევრათ დანიშნის გამო.
30 დეკემბერი, 1919 წ., № 135.
დათხვენილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის თანამდებობი ივანეს ქვალანტაროვი.
2 იანვარი, 1920 წ., № 1
ინიშნებიან: შინგან საქმეთა საინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანამდებობი მიხილ დღე და მოქალაქე მიხილ პლატონის დე დანია ამავე კანცელარიის საქმის მწარმოებლად 1 ამა იანვრიდან.
დათხვენილია არიან: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: შინგან საქმეთა საინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლები მოსე ინიანიშვილი და გიორგი შაკვიცი, პირველი—უმდლეს სწავლის მისაღებათ საზღვარ გარეთ გამგზავრების გამო და მეორე თავისუფლების ვადის გათავების შემდეგ სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1 ამა იანვრიდან.
მინისტრის ამხანაგი
ქ. ჯაფარიძე.

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკანსაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებისა.
29 დეკემბერი, 1919 წ., № 6.
დამტკიცებულ იქმნას იასონ მოსეს ძე კოკვიძე ამართალის უბნის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა 1919 წ. 8 ოქტომბრიდან.
29 დეკემბერი, 1919 წ., № 7.
დამტკიცებულ იქმნას კონსტანტინე კირილეს ძე დრახელი სამურზაყანოს გლის უბნის მომრიგებელ მოსამართლეთ დღიდან მისი არჩევისა 1919 წლის 21 იანვრიდან.
29 დეკემბერი, 1919 წ., № 8.
დამტკიცებულ იქმნას ფრიდრიხ ფრიდრიხის ძე რენინგი გულუთის უბნის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზე დღიდან მისი არჩევისა 1919 წლის 24 აგვისტოდან.
თავმჯდომარის მაგიერ გრ. გველეიანი.

იუსტიციის მინისტრისა.
15 იანვარი, 1920 წ., № 5.
ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: ქ. ტფლისის მე XII უბნის გამოძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად მიწით მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ყოფილი იურისკონსულტი დიმიტრი დამაშვიძე ამა წლის იანვრის 15 დან.
15 იანვარი, 1920 წ., № 6.
იგზავნება: ქ. ტფლისის მე-XIII უბნის გამოძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სენატის პროკურორის მდივანი კონსტანტინე ივანეს ძე ხოჯაშვილი ამა წლის იანვრის 15 დან.

15 იანვარი, 1920 წ., № 7.
ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: გორის მე 2 ე უბნის გამოძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ნიკოლოზ ავშაროვი ამა წლის იანვრის 15 დან.
15 იანვარი, 1920 წ., № 9.
ჩაირიცხა სასამართლოს უწყებაში და იგზავნება: თიონეთის უბნის გამოძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამხედრო მოსამართლის თანამდებობათა ყოფილი კანდიდატი ისააკ კორინთელი ამა წლის იანვრის 15 დან.
იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

აბა ოფიციალური განყოფილება
შინგან საქმეთა საინისტროსი.
გაზ. „გოლოს რაბოჩია“-ს დახურვა.
შინგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით 20 იანვრის თარიღით დახურულ იქნა გაზ. „გოლოს რაბოჩია“ იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთის № 2 ში ამ სათაროით: „ქ პრინციპიუ გრუნინსკოი ნე-ზავისიმოსტი“, სადაც აშკარა უარყოფითი აზრი იყო გამოთქმული საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.
შიწათ-მოქმ. საინისტროსი.
საქართველოს აგრონომთა კრილობა.
1920 წ. იანვრის 25, ტფლისში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარათი-ნის ქუჩა, 5) გაიხსნება სრულიად საქართველოს აგრონომიულ დახარების მოღვაწეთა პირველი ყრილობა.
აღნიშნულმა ყრილობამ მიჯდომილება უნდა იქონიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის

შაბათ დილის სტომაზე მოიხინეს, რუმინეთის პრემიერის ვილა ვოცედას მოხსენება რუმინეთის დღომარკოსის შესახებ. საკითხი. გარკვევს დაესწო აგრეთვე მილიერანიც.

წარმოშობის საზოგადოება

პრემიებისათვის.

წ. კ. საზოგადოებას ნ. ერისთავისა და ნ. ლოლბერიძის სახელობის პრემიის მისაღებად წარუდგინეს ნაწარმოები შემდეგმა ავტორებმა: 1) სანდრო ბაქრაძემ „ზღუდა და ქაბუჯა“—უღებდა. 2) სარგის კაკაბაძემ, მონოგრაფია „საქართველო ეგრეთვე მეორეს დროს“. 3) ი. მჭედლიშვილმა ორიგინალური ნაწარმოები „ოცნება და სინამდვილე“, ანუ „ერთი მეოცნების ამბავი“. 4) ვ. ბარნოვა მოთხრობები: ა. „ფეხი იბრუნა“ და ბ. „ამქრის მშენებელი“. 5) დ. არაყშვალმა „Грузинское Народное Музыкальное Творчество“. 6) ნ. ჯანაშიამ „Абхазский Вульгарный“, სამეცნიერო აკადემიის გამომცემი. 7) დ. მეგრელმა „მწირო სარდალი“. გამგებობას უკრ პრემიები არაერთს მიუცია, გამგებობამ დაადგინა: შეიცვალოს არსებული წესები პრემიის დანიშვნის შესახებ. პრემიის წესების გადაშიწვევა მოხდეს ერისთავის რეპუბლიკის თანდასწრებით.

დახმარება.

„დღემისა და ბავშვობის დამცველ საზოგადოების“ თავჯდომარის ქ. ნ. ჯანაშიას თხოვნა დააკმაყოფილა წ. კ. საზ. გამგებობამ და გადასცა 500 მანეთის საბავშვო წიგნები ხსენებულ საზოგადოების სამკითხველთათვის.

სენაკის მაზრის სამკითხველოები.

წ. კ. საზოგადოების სენაკის განყოფილებამ აცნობა მთავარ გამგებობას მაზრაში არსებულ 29 ბიბლიოთეკა სამკითხველოების ეროვნის მხარუველობის გადაცემის შესახებ. გამგებობამ დაადგინა: მიეწეროს სენაკის განყოფილებას, რომ გამგებობა თანახმაა გადაეცეს ბიბლიოთეკები ეროვნის, ხოლო დაცულ უნდა იქნას ფორმალური მხარე ინვენტარის გადაცემისას. ი. უდგენილ იქნას სია ნივთებისა ეხლანდელ ფასების კვალობაზე.

დათმობა.

წ. კ. საზოგადოების გამგებობამ ქუთაისის წ. ს. საკითხველოს დუთო უფასოთ თითო ექვსმკლარი თავის გამოცემათა.

ილ. ჭავჭავაძის სახლი.

ილ. ჭავჭავაძის სახლი, რომელიც წ. კ. საზოგადოების გამგებობაშია დაქვეყნებული იქნა საზოგადოების მიერ 30,000 მანეთში.

დახმარება „ჯაჯალის“ რედაქციას.

„ჯაჯალის“ არსებობის 30 წლის აღსანიშნავად წ. კ. საზოგადოებამ გადასცა რედაქციას ან. წერეთლისას 1000 მანეთი.

სხვადასხვა

გუშინ, ნაშუადღევს 11/2 ს. მთავრობის თავმჯდომარე წინადადებას იწინააღმდეგებდა და ხანგრძლივ ესაუბრა სპარსეთის გენერალური კონსული კავკასიაში.

გუშინ, შუადღის 12 საათზე საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტში შესდგა თათბირი, რომელშიც ევგ. გეგეჭკორის გარდა მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი საგარეო საქმეთა მინისტრი ფატალი ხან ხაისკი და სომხეთის პრემიერი ა. ი. ხატისოვი.

პარსევეს, 23 იანვარს, შე დგება დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.

ტფლისში რუსთაველი ჩამოვიდა სომხეთის წარმომადგენელი დონის მთავრობისა და ცნობილი პუბლიცისტი გრ. ჩალხუშვიანი.

იტალიის მისიამ აუწყა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ იტალიური გემო, რომელმაც ევროპად იფოსტა უნდა ჩამოიტანოს, რამოდენიმე ხნით დაგვიანდება.

კვირას, იანვრის 18, დღის 11 საათზე წერა კოტეხის გამგებობის საზოგადოების გამგებობის ინიციატივით მამადავითის ეკლესიაში გადახდა იქნა პანაშვიდი ი. ქავჭავაძის, ა. წერეთლისა და დ. ყუბანის ხსოვნის აღსანიშნავად. მწარველი იყო სრულიად საქართველო კათოლიკოს პატრიარქი ლეონიდე. პანაშვიდს დადიანი ხალხი დაეწრო. დაესწრნენ რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა და სხვა კულტურულ და ორგანიზაციის წარმომადგენელი. ხსენებულ პირთა საფლავებზე სიტყვები წარმოთქვა ა. პაპავამ, გ. კორტევიშვილმა და დუტუშვილმა.

საქართველოს სამხედრო გზარეკლის ულტრალეზე საშინელი ქართველი. მ. მოსგვა გაძეგნულია.

გაიხსნა საქალაქაშორისო ტელეფონის მოქმედება ახალქალაქსა და ტფალის შორის ლაპარაკითვის შემდეგ ფას გადნდით: ჩვეულებრივი ლაპარაკი 2 მან. სწრაფი 6 მან. თითო წუთში და დავილტბას შესრულებისათვის 2 მანეთი ორივე შემთხვევაში.

სიღნაღის სახაზრო ერობის სტრატეგია განყოფილებამ თავის მონახილეს კორესპონდენტებს დაუვხვანა საკუთარი გამოცემა „1918 წ. მოკლე სტატისტიკური მონახილვა სიღნაღის მაზრისა“ და სახალწლო საშუალო-სამხრო აგრონომის დ. სამადაშვილის წინადადება „თესლი, მისი მნიშვნელობა მოსავლიანობისათვის და დამზადება“. ერობის განზრახული აქვს შემდეგში უფრო ფართო მოაწყოს კორესპონდენტთათვის კულტურულ-სტრატეგული დახმარება და საერთოთხელი შეწყოს სტატისტიკის პაულოარიზაციის მაზრაში.

მთავრობის იანვრის 17 დადგენილების თანახმად საქართველოს რკინის გზაზე მოხსნილია სახმადრის წესები.

ქალაქი კავშირის მთავარმა კომიტეტმა იღობა მთავრობის წინაშე შემდგომლობა, რათა მიეცეს მას სახელმწიფო ხაზინიდან 75% მილიციის ხარჯებისთვის ქალაქში და წარადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროში მილიციის სრული შტატი და ნუსხა. რადგან შტატი და ნუსხა 1919 წლისთვის მიხედვით იყო შედგენილი, მთავარმა კომიტეტმა სასწრაფოთ მოითხოვა ქალაქებიდან წარმოადგინონ დამატებითი ცნობები და მასთან ერთად ქალაქის საჭურჭლის დადგენილება შტატების დამტკიცების შესახებ.

დ. კლდიაშვილის საიუბილეო კომისიამ წარსულ ოთხშაბათს სტომაზე გადაწყვიტა: დ. კლდიაშვილის იუბილე გადასცეს 15 თებერვლსათვის. იმავე სტომაზე მოწვეულ იყვნ მწერალ-კრიტიკოსები, რომელთაც დევალათ ამ დღისთვის მოხსენების და წერალებს დამზადება იუბილეის შესახებ. დავით კლდიაშვილის საიუბილეო დღისთვის გამოცემა ნებო წინადადება, სადაც მოთავსებული იქნება წერილები იუბილეის შესახებ და მისი ავტობიოგრაფია. დ. კლდიაშვილის იუბილე გაიმართება სახელმწიფო თეატრში.

დღეს, სტამბოს ქართ. წარმ. მართველი წრის მიერ წარმადგენილი იქნება დღეის სუბსიდიისთვის.

ინგლისური პრესა იტყობინება: უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა იცნოს „დო ფიქტო“ სომხეთის, საქართველოს და ადრბეიჯანის დამოუკიდებლობა. ამ სამ სახელმწიფოებზე უკრ რადიკალური, რომელიც ისაზღვრება არაბრატის მითით, კაპიტალის ზღვის დასავლეთ ნაპირების სამხრეთ ნაწილის და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებით. მკარამ ეს ცნობა სრულიად არ სწყვეტს საკითხს ამ რესპუბლიკების საზღვრების შესახებ. სომხეთის სტატუსი განხილული იქნება ოსმალეთის საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ერთად.

დღეს, უზუალ-შკლის სახალხო სახლში გაიხსნა მეცხვარეთა და მესაქონლეთა ყრილობა. ლკვე ჩამოვიდა სამის დელეგატამდე ფშავ-თუშეთიდან.—ხევისურეთიდან და საქართველოს სხვა მთავრობის ადგილებიდან.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. მთავრობა გამგებობამ დაადგინა შამდკომლობა აღმოსავლეთის მხარეში 5 მილიონიან სესხის მიცემის შესახებ სამი წლის ვადით ეს თანხა საქართველოს და „ბუნების კარის“ გამოსაცემად და ქალაქის შ. შ. აქნად.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგებობამ დაადგინა გააუქმების თვის ფილიალური განყოფილებანი.

19 იანვარს, ტფლისში ჩამოვიდა აგრეთვე გენერალური კონსული ჩარლზ მონერი.

ტფლისში იხსნება ახალი საშუამავლო კნორა „კავკასია-ევროპა“, რომლის მიზანია კავშირის დაკურა ინგლის-აფრანგეთ-იტალიასთან.

„საქანა გვიტო“

XVIII საუკუნეში, ქართული მწერლობაში არსებობდა ეოთი იტორიული და მასთან სიტყვაზემულის მწერლობის წიგნი, რომელსაც სახელად ეწოდებოდა „საქანა გვიტო“— რა იყო ეს წიგნი და რას შეიცავდა იგი და რას წარმოადგენდა, ეს ჩვენ გარდმოცემით ვიცით, თორემ თვით ეს წიგნი ჩვენ თვალისაღწერა გვინახავს. „საქანა გვიტო“ აი რა ყოფილა, მასში აღწერილი ყოფილა ქება და დიდება იმ მოღვაწე მემორა გვიტებისა, რომელთაც საქართველოს სამეფო დაუძღურებინ შედევრ უცხოვრიათ, მოსწრებთან საქართველოსათვის სამეფოს სამ სამეფოთა და ხუთ სამთავროთ

გაყოფას, მოწრებთან საქართველოს ბევრ-შავს და მწარე დღეებს და როცა საქართველო ედინი მ. შინათვე მათ ყოფილ საქართველოს მიწა-მამულის დასაცავათ და შესანარჩუნებლათ, რომ თავიც დაეღოთ და სისხლიც დაეღათ. ასეთი გვიტები მ. შ. საქართველო სავსე იყო თურმე. „ქუდა“ და „კაცის“ ძახილით და სხვა ბევრი ამგვარები საქართველოში არ ყოფილა უბრალოდ მოგონილი და ცუდად შემოღობული. საქართველოს მიწა მამულის შესანარჩუნებლათ იხორცილებდნენ, როგორც თავად-აზნაურები და საზღვდლონი, ასევე გლეხები და მოქალაქენი, ერთის სიტყვით ყველანი, ყველა ქართველი ერთ ტაფაზედ იწვედნენ. ამ საერთო ტაფაზედ დამწვართ ქართველთ შორის გარჩევა აღარ იყო თუ სად თავდის სისხლი იყო დაღვრილი, სად აზნაურის, სად მღვდლის და სად გლეხის, ყველა სისხლი ერთად იყო არეული და ყველანი იყვნენ ერთნი; ამიტომაც იყო, რომ მამულის საქართველო იყო ძლიერი და ქართველი ერთი მძღავრი და გაუტყველნი.

აი ასეთი გვიტ ქართველთ მემორების ქება და დიდება ყოფილა აღწერილი ამ წიგნი და მის დამწერს მიტომაც უწოდებია მისთვის „საქანა გვიტო“. ვინ დასწრა ეს წიგნი და ან როდის და როგორ ამის ცნობა ჩვენ არ გვაქვს, მხოლოდ გარდმოცემით ვიცით, რომ იგი დაწერილი უნდა იყოს 1660 წლებში არა აღრც ვინაიდან ამ წიგნი აწერილა ყოფილა ქება და დიდება შამაზის შეპოსევის ომებში დახორცილთ გვიტებისა.

ასევე აწერილი ყოფილა ამ წიგნი ჯეიმის ომის ამბავი, მარბდის ომში დახორცილთ ცხრა მხა უბრულოძეების ამბავი და ბევრიც სხვა ასეთი. რა მომხდარა კიდევ, ეს „საქანა გვიტო“ XVIII საუკუნის ნახევარში შეუქმნათ სხვადასხვა მასში აღწერილი და მოუთავსებიათ ქება და დიდება იმ გვიტ მემორებისა, რომელნიც ასინძის და სხვა ასეთ ომებში დახორცილან. აქედანა სჩანს, რომ ეს ძვირფასი განძი შეუქმნათ XVIII საუკუნის ნახევარსაც ამ აღწერას ჩვენ არ ვიცნობთ, მისი არც შინაარსი ვიცით და არც მხატვრობა ხელოვნებას ვიცნობთ, ჩვენთვის საქმარისი არის მარტო ის, რომ აღწერაში ასე თუ ისე ქება ქართველთა იმ გვიტთა და მეომართა სახელები, რომელთაც თავიანთ სამშობლო საქართველოსთვის თავი არ დაუზოგნიათ, მტერთან ბრძოლაში გაბოსულან, სისხლი დაუღვრიათ, დახორცილან, მოსპობილან და მტკაველა მიწაც კი თავის სამშობლო საქართველოსი არაღისთვის დაუთმიათ ადგილად. აი ასეთი გვიტები, რომელნიც მოღვაწეობა ყოფილა ამ წიგნი აღწერილი, რომელმა წიგნმაც ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენს დრომდის არ მოაღწია.

თუმცა ამ წიგნის შესახებ ჩვენ ვიცით შემდეგი: იგი 18 საუკუნის შემდეგ 1830 წელს იგი ჰქონია დაცული გიორგი რომანის ძე ერისთავის; იმ დროს ეს ხელნაწერი პლ. იოსელიანსაც ჰქონია და ამას იგი რამდენჯერმე საჯაროთაც წაუკითხავს, რაც ხალხს დიდბათაც მოსწონდათ თურმე. მას შემდეგ 1830 წ. ამ წიგნის ხსენება ქართულ მწერლობაში სრულიად მოიხსნა.

ამ წიგნის დაკარგვის საქმეს ადრე დიდი ყურადღება მიაქცია ილია ქავჭავაძემ და მან უკრ გზით „დროებაში“ და ბერე „გვიტოში“ გამოაცხადა, რომ იგი ვინმე წიგნს „საქანა გვიტოს“ ხელნაწერს აღმოაჩენს და მოიტანს ჩვენთან, რომ დროებით გვათხოვონ იგი, მას ქართლ ჩვენ 300 მან. მივცემით. ეს განცხადება ბევრჯერ დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში და „საქანა გვიტო“ კი არსად აღმოჩნდა დღემდე კი. იქნება ეს მანაც აღმოჩნდეს ეს ძვირფასი განძი ჩვენს ძველს მ. მობარ გვიტთა ცხოვრების შესახებ, რასაც ექნება ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა.

წ. კ.

მუშათა კავშირები

თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა პროფკავშირთა გამგებობამ შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა ქარხნებსა და ფაბრიკათა საზოგადოებრივ აქტიურულ საზოგადოების გამგებობამ თავის მომართვაში განაცხადა, რომ მას არ ძალუძს გადაიხადოს უმუშევრობის დროის ავანსი 6 კვირის სამუშაო ქირის რაოდენობით, ვიდრე რა მხედულობაში თამბაქოს მწარმოებელ მუშათა მატრიალურად კრიტიკულ მდგომარეობას, მეორე მხრივ შემთანხმებელ კომისიის დადგენილებას, რომლის ძალით მუშები ღებულობენ 6 კვირის სამუშაო ქირის ავანსის სახით და გაუწყეთ რა ანგარის იმას, რომ შემთანხმებელი კომისიის გადამწყვეტილება სავალდებულოა, როგორც

თამბაქოს ქარხნის პატრონთათვის ისე კავშირის გამგებობათვის—კავშირის გამგებობათ თანახმად მომარგებელ კომისიის დადგენილებისა შორის. ქარხანაში მომუშავე 176 კაცს მიეცეთ უმუშევრობის დროის ავანსი 6 კვირის სამუშაო ქირის რაოდენობით.

გათუვის აგებვი

12 იანვარს „პროგრესში“ მიწაწლებობის მრებისათვის დატუსაღებულ იქნა და სამ სამი თვის კატორღის სამუშაო მიესჯა შეიდეგ პირთ: ი. სიმონიანცი, ანა აზედ ოლოი, პიტროს სტროგინი, აკოპ კარაპტიანი, სარქის პოლოსოვი, პოლის შამგინიანი, აკოპ მარდიშვილი, მ. ოციანტი, დიმიტრი მხარბაროვი, რაულ მენდელ ოლოი, ეფრემ რომანოვი, გრ. კარაპეტოვი, ხ. ლიპინოვი, ნეაიდი, გ. შელაშაძე, მაგონედ რამიდ ოლოი, აკოპ თაგინსოვი, მარტიროს არტურნოვი, ე. კვანდუსიანი, მარტიროს ჩილიანცი, ადამ ბარამოვი, ნ. კაშანდოიანი, ა. მინსიანცი, სარქის ტალაგინი და სხ.

3 იანვარს, ოთხთ თვის სიჩქარის შემდეგ პირველად გაიმართა პროფესიონ ლურ კავშირთა საბჭოს საზოგადო კრება. მოსმენილ იქნა საბჭოს თავჯდომარისა და სავამომხმებელი კომისიის წინადადება. პირველ მოხსენებაზე კამათის შედეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა თავჯდომარის მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ, საბჭოს ავტორიტეტს საქართველოში მიჩნია მიღებულ იქნას ყოველივე ზომები კრებების ხშირბათ მოაწვავათ სერიოზულ კითხვების გარჩევის და მცირე საბჭოსათვის (პრეზიდენტისთვის) დარეკტრების მიცემის მიზნით“; 2) საბჭოს ავტორიტეტს საქართველოში მიჩნია მოსმენილ იქნას სასურ. კომიტ. მოშათა ჯგუფის მუშაობის შესახებ მოხსენება; 3) საბჭო ანდობს პრეზიდენტს, რომ შრომის კომიტეტმა და მისმა მუშათა ჯგუფმა კერძოთ მიიღოს ყოველივე ზომები სასურსათო და სავალდებულო საკითხების მოსაწესრიგებლათ; 4) საბჭო ანდობს პრეზიდენტს მიიღოს ზომები ლტოლვილთა მოსალოდნელ ტალათთა დენის ასაშორებლათ.“

16 იანვარს რკინის გზის სადგურზე ძლიერი ჩხრეკა იყო საქართველოდ მომავალ მგზავრებისა. მგზავრებს, რომელთაც აღმოჩნდათ ხუთი ათასზე მეტი დონის ფული ჩამოართვეს.

16 იანვარს ათასი მანეთი ქართული ფული 3300—3500 მანეთად იყიდებოდა დონის ფულზე. ქალაქის ფურნეებიდან სულზე იძლევიან თითო გირვანჯა პურს. კერძო ვაჭრებთან პური თითქმის სულ არ იშოვება გუშინ 60—100 მანეთად ფასობდა გირვანჯა.

მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო საქართველოს საკონსულს მრავლი მლოცეები მოადან. გუშინ კონსულს ეწვივნ ლახენი, რომლებმაც მეტად მკარძობარე სიტყვებით მიმართეს ბ. ნ. კონსულს, მოულოცეს მას საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ ხალხთა რეაბილიტაციის, როგორც სწრაფად აღმოაჩინა წყაროსა და უკრებს საქართველო ყოველივე საქმეთა აღნიშნეს მათი დრმა სიყვარული საქართველოსადმი და იმედი გამოსთქვე, რომ ბათუმის ოლქა დღეს, ხელთნაწერით მოწყვეტილი თავის დედა სამშობლოსაგან, მალე გაერთიანდება მასთან. ბ. ნ. კონსულმა შესაფერვი სიტყვით მიმართა ჩვენ მოძმე ლახებს.

გუშინ ბათუმის საქართველო დამბაში საქართველოსა და ადრბეიჯანის კონსულებმა სახეიმო ბანკეტი გამართეს მოკავშირეთა მიერ საქართველოსა და ადრბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის გამო. ბანკეტს დაესწრნ ბ. ნ. სამედიკო გუბერნატორი კუკკოლისი, ქალაქის თავი პოლკოვნიკი ნორმანი, ინგლისელი ავოკატები, სხვა და სხვა სახელმწიფოთა კონსულები, ადრბეიჯანელთა და ქართველთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლები და სხვები ბანკეტი საუცხოოთ ჩატარდა. წარმოთქვა მრავალი სიტყვები. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

პროვინცია

ცნობა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა უაზღვრო სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია მთელს გურიაში. სამხარო ერობის გამგებობამ ეს ცნობა 12 იანვარს სალამოს 5 საათზე მიიღო და მამუნივე გადასცა თემებს. იმავე დღესვე შესდვა სადღესასწაულო

